ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 98

“17” მარტი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის №2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის №2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 9 მარტის №23.297.341 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის №2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება – ავტობუსის რეფორმის მხარდაჭერის“ პროექტის შესახებ 2022 წლის 2 თებერვლის №2021.003798 საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 9 მარტის №23.297.341 განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე